



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:პ/8252863
თარიღი:23/07/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 12

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 20.07.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: - ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ამირან ტალახაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით ვაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, თამთა დვალიშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ტარიელ ბარამიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გია ოჩხიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში-**ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-

ივანე მამფორია.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 04 თებერვლის 147 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2021 წლის პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ქონების გადასახადი მცირდება 50, 0 ათასი ლარით.

ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი იზრდება 488,7 ათასი ლარით.

გ) სხვა შემოსავლები იზრდება 11,3 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 13649,8 ათასი ლარით, გადასახდელები 14950,3 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N16)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ სოფლებში-შუამთა და ჭყვიშში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით შერჩეული და 2021 წელს განსახორციელებელ პროექტებში საჭირო გახდა შეტანილიყო ცვლილებები, წარმოდგენილი სათანადოდ შედგენილი ოქმების საფუძველზე. კერძოდ:

1). სოფ. შუამთა-ცენტრის კეთილმოწყობაზე წინასწარ განსაზღვრული იყო სავარაუდო ღირებულება 9193 ლარი. პროექტის შედგენის შემდეგ დაზუსტდა ღირებულება და შეადგინა 6805 ლარი. შესაბამისად-სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის ახალი ღირებულებაა 6805 ლარი.

2). სოფ. ჭყვიშში მინი სტადიონის რეაბილიტაცი ღირებულებით 1292 ლარი, შემცირდა 1203 ლარით. აღნიშნულ პროექტში რჩება მომზადებული ხარჯთაღრიცხვის მომზადებაზე გაცემული ღირებულება 89 ლარი.

ორივე პოექტში განხორციელებული ცვლილების შედეგად გამოთავისუფლდა 3591 ლარი. აღნიშნული თანხა გადანაწილდა სამ პროექტზე:

1. სოფ. შუამთაში „მასალების და ინვენტარის შეძენა“ არსებულ 7457 ლარს დაემატა 2641 ლარი და პროექტი გახდა 10098 ლარი

2. სოფ. შუამთა „საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (დაგრეიდერება)“ არსებულ 1350 ლარს დაემატა 150 ლარი და პროექტი გახდა 1500 ლარი

3. სოფ. ჭყვიშში „საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა“ არსებულ 10708 ლარს დაემატა 800 ლარი და პროექტი გახდა 11508 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 ცვლილების შეტანის შესახებ“

განკარგულება N გ-65.65212011)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე